# დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

## განკარგულება

N 38 08
25/06/2019

**დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლის ამბულატორიების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტების მოწონების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' მე-19-ე მუხლის „ბ“ პუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 თებერვლის №120 დადგენილების ,,ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ'' მე-2 მუხლის მე-8 ქვეპუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მოწონებული იქნას დმანისის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფლების ამბულატორიების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტები დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის).

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

| N | რეგიონი | მუნიციპალიტეტი | სოფელი | დაგეგმილი პროექტის დასახელება | სამუშაოს ტიპი(რეაბილიტაცია/მშენებლობა) | პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალი (მაგ. სახურავის რეაბილიტაცია/კოსმეტიკური რემონტი/ ფასადის რეაბილიტაცია და ა.შ.) | პროექტის სავარაუდო ღირებულება (მთლიანად) | არსებობს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (კი/არა/არ საჭიროებს) | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქვემო ქართლი | დმანისი | ზემო კარაბულახი | კარაბულახის საექიმო ამბულატორია (ემსახურება აზა, მამიშლარი, მეორე სალამალეიქი, პირველი სალამალეიქი, სოგუთლო, უსენქენდი, ქვემო კარაბულახი, ძველი გოდაგდაგი, ზემო კარაბულახი, ახალი გოდაგდაგი) | რეაბილიტაცია | შენობის ადაპტირება შშმ პირებისთვის, კოსმეტიკური რემონტი, გათბობის სისტემის მოწყობა და სველი წერტილები. | 45000 | არა | |
| 2 | ქვემო ქართლი | დმანისი | ირგანჩაი | ირგანჩაის ს/ამბულატორია | რეაბილიტაცია | სასმელი წყლის შეყვანა და მცირე კოსმეტიკური რემონტი | 9000 | არა | |
| 3 | ქვემო ქართლი | დმანისი | განთიადი | განთიადის ს/ამბულატორია (ემსახურება კაკლიანი (აზერბაიჯანული), კიზილქილისა, ჯავახი). | რეაბილიტაცია | სარეაბილიტაციოა სახურავი, ფასადი და შიდა ფართის რეაბილიტაცია | 142000 | არა | |
| 4 | ქვემო ქართლი | დმანისი | გომარეთი | გომარეთის ს/ამბულატორია (ემსახურება კაკლიანი (ქართული), მამულო, სარკინეთი, ველისპირი, განახლება). | რეაბილიტაცია | მოსაწყობია გათბობის სისტემა და მცირედი კოსმეტიკური რემონტი, ადაპტირება შშმ პირებისთვის | 52000 | არა | |
| 5 | ქვემო ქართლი | დმანისი | ოროზმანი | ოროზმანისი ს/ა (ემსახურება დალარი, მთისძირი, ქვემო ოროზმანი, ზემო ოროზმანი, ვაკე). | რეაბილიტაცია | კომეტიკური რემონტი, ადაპტირება შშმ პირებისთვის და სველი წერტილების მოწყობა | 47000 | არა | |
| 6 | ქვემო ქართლი | დმანისი | კამარლო | კამარლოს ს/ამბულატორია (ემსახურება ქარიანი, შახმარლო, შინდლარი). | რეაბილიტაცია | კომეტიკური რემონტი, ადაპტირება შშმ პირებისთვის და სველი წერტილების მოწყობა | 43000 | არა | |
| 7 | ქვემო ქართლი | დმანისი | იფნარი | იფნარის ს/ამბულატორია (ემსახურება ბახჩალარი, დაგარახლო, კიზილაჯლო, ორმაშენი, საჯა). | რეაბილიტაცია | შიდა კომეტიკური რემონტი და ფართის ადაპტირება შშმ პირებისთვის | 37000 | არა | |
| 8 | ქვემო ქართლი | დმანისი | ამამლო | ამამლოს ს/ამბულატორია (ემსახურება ანგრევანი, ბაზაქლო, მამიშლო, ტყისპირი, საფარლო). | მშენებლობა | | 95000 | არა | |
| 9 | ქვემო ქართლი | დმანისი | გუგუთი | გუგუთის ს/ამბულატორია (ემსახურება გორა, კამიშლო, ლოქჭანდსირი, საკირე, უკანგორა). | მშენებლობა | | 95000 | არა | |

565000